შპს სიო

2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში
(დოკუმენტი ასევე წარმოადგენს სტრასტეგიული გეგმის ერთი წლის 29.11.2022-29.05.2023 პერიოდის შუალედურ ანგარიშს)

მონიტორინგი აზრს აძლევს მთლიანად დაგეგმვის პროცესს, მის გარეშე მონიტორინგის პროცესი პირობითად 3 ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაბიჯთა ერთობად წარმოვიდგინოთ. ესენია (1) მონაცემთა შეგროვება, (2) მათი ანალიზი და (3) რეაგირების მოხდენა.

ჩართულობის ფორმად შესაძლოა ჩაითვალოს ასევე დოკუმენტების პროექტების მიწოდება/ატვირთვა ერთიან საკომუნიკაციო ჯგუფებში/მეილზე გადაგზავნა/ საიტზე განთავსება დაინტერესებული პირებისათვის და კომენტარების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემა მათთვის.

- გეგმების ანგარიშები განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე; (https://www.sio.ge/index.php/aboutusk/gan-gegma/2022-12-27-07-37-57/shesrulebis-angarishebi-3)
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლოა გადაიხედოს სტრატეგიული გეგმა/შევიდეს ცვლილებები დირექტორის ბრძანებით, ან დამტკიცდეს სათადარიგო გეგმა.

2023 წელი

მიზანი 1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანა 1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში რეავტორიზაცია/სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა

2023 წელს, კოლეჯის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა რეავტორიზაციის პროცესი. ვინაიდან, ჩვენ ორიენტირებულნი ვართ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ადეკვატური გარემოს შექმნაზე საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა თვითშეფასების დოკუმენტი და შპს „სიო“-მ განაცხადი შეიტანა რეავტორიზაციის მოთხოვნაზე, სადაც ასევე დავაფიქსირეთ სტუდენტთა კვოტის გაზრდის შესახებ მზაობა (თვითშეფასების დოკუმენტის თანდართული დანართი N14);
- ვინაიდან კოლეჯს არ გააჩნდა გაზრდილი კვოტის შესაბამისი პროფესიულ მასწავლებელთა რესურსი, მოხდა ახალი კადრებით დაკომპლექტება: კერძოდ ხელშეკრულებები გაუფორმდათ პროგრამის ხელმძღვანელს - რუსუდან გიორგობიანს და პროფესიულ მასწავლებლებს - ლალი არველაძეს და ნათია მარგველაშვილს (იხ.დანართი 5);
- გარდა ადამიანური რესურსისა, მოხდა სასწავლო ინვენტარის განახლებაც. ვინაიდან გაზრდილი კვოტის შემთხვევაში, არსებული ინვენტარი ვერ პასუხობდა მოთხოვნებს, მოვახდინეთ შემდეგი ინვენტარის შეძენა: სკამ-მერხები (45 ერთეული), კონდინციონერი (ერთი ერთეული), კომპიუტერული ტექნიკა: ფერადი პრინტერი და ლეპტოპები 3 ერთეული (იხ.დანართი 6);

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (შერჩეულია პროფესიული მასწავლებლები საექთნო საქმის პროფესიულ პროგრამაზე, შეტანილ იქნა განაცხადი კვოტის გაზრდის თაობაზე, მივიღეთ ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება (იხ.დანართი 8))

ამოცანა 1.2 .საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

იმისათვის, რომ კოლეჯმა მუდმივად იზრუნოს სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რეგულარულად ვაწარმოებთ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. ერთერთ მათგანს წარმოადგენს ჩატარებული კვლევები. მათი მიზანია სისტემატურად მოხდეს კოლეჯის შიდა და გარე გამოწვევების იდენტიფიცირება და მათზე ადექვატური რეაგირება. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამი კვლევა. სამიზნე აუდიტორია იყო: პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი;

- პროფესიულ სტუდენტთა კვლევა: შპს „სიო“-ს მიერ 2022 წლის ნოემბერში ჩატარდა აქტიურ სტუდენტთა გამოკითხვა რათა უკეთ გაანალიზდეს და შეაფასდეს რამდენად კმაყოფილნი არიან სტუდენტები სასწავლებლის სერვისებით, გამოიკვეთოს მათი საჭიროებები და მოხდეს მათზე რეაგირება. ასევე კითხვარში დასმულია ისეთი შეკითხვები, რომელათა მეშვეობითაც შესაძლებელია დავადგინოთ რამდენად კარგად იცნობენ სტუდენტები თავიანთ უფლებებს და კოლეჯში მოქმედ წესებს. სულ გამოიკითხვაში მონაწილეობა მიიღო 83 სტუდენტმა (აქტიურ სტუდენტთა 70%).
  გამოკითხვებით დგინდება: - სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ, იცნობენ შეფასების სისტემას, იციან კოლეჯის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ფორმებს და გრძნობენ თანადგომას კოლეჯის მხრიდან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებში. ასევე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის ცნობადობა დაბალია. აღნიშნულთან დაკავშირებით გატარდა შემდეგი ღონისძიებები: გახშირდა სოციალურ ქსელებში სარეკლამო პუბლიკაციები, ასევე დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო სახის ბუკლეტები და სავიზიტო ბარათები.
  ორგანიზაცია წარმოდგენილი იყო პროფესიული უნარების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე 2023 წლის 27 აპრილს.
  აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სტუდენტთა მხრიდან საჩივრი ან პრეტენზია არ დაფიქსირებულა დაწესებულების ფოიეში განთავსებულ ანონიმურ ყუთში.
- 2022 წლის ნოემბერში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელ პირთა გამოკითხვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: გამოკითხულთა აბსოლიტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისინი ჩართულნი არიან და აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელების პროცესში. გრძნობენ ადმინისტრაციის მხარდაჭერას სამუშაოს ადაპტირების პროცესში და აღნიშნავენ ასევე ინდივიდუალური კონსულტაციის შესაძლებლობებს. ხოლო კოლეჯის მხრიდან ხდება მათი აზრის გათვალისწინება მოდულებისა და პროგრამების განხორციელებისას საჭირო სასწავლო რესურსის შევსებისათვის. ამიტომ განხორციელდა წიგნადი ფონდის განახლება პროფესიული მასწავლებლების მითითებების შესაბამისად.

პროფესიულმა მასწავლებლებმა დააფიქსირეს მზადყოფნა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების შესაბამისად ჩაერთონ ტრენინგებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ამ მიზნით 2022 წლის ნოემბერში კოლეჯის პროფესიულმა მასწავლებლებმა გაიარეს განათლების სამინისტროს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგ-კურსი თემაზე: „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“. ტრენინგი დასრულდა შესაბამისი სერტიფიკატების გაცემით.

კვლევისას ასევე გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის ინტერნეტ ჩაერთების სისწრაფე ქმნის ხარვეზებს რიგი მიზნების მისაღწევად. აღნიშნულიდან გამომდინარე ინტერნეტ პროვაიდერთან კომუნიკაციის შედეგად გავზარდეთ ინტერნეტის სისწრაფე 6 მბ/წ დან 20მბ/წ მდე.

- განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევა 2022 წლის ოქტომბერში პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. კვლევის ამოცანაა შესწავლილ იქნას: კურსდამთავრებულების დასაქმების პროფილი/მახასიათებლები; დასაქმების ხელშეწმყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები; კურსდამთავრებულების სამუშაოსა და პსდ-ში მიღებულ სპეციალობას შორის კავშირი; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კომპეტენციების დასაქმების მოთხოვნებთან შესაბამისობა; პსდ-ს კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასება კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისთვის.
  კურსდამთავრებულთა დასაქმება კოლეჯის პრიორიტეტია, ამისათვის ხდება ვაკანსიების მოძიება და კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალურ ჯგუფებში განთავსება.

  მტკიცებულებები: კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი - www.Sio.ge -
  www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/313-2023-01-18-15-56-50
  http://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/335-2022-2023
  http://sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/334-2023-06-14-12-15-25
  http://www.sio.ge/index.php/98-newska/330-2023-04-28-12-27-36

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (ჩატარდა გამოკითხვები, მოხდა მათი გაანალიზება, გამოიკვეთა რიგი პრობლემები და შემუშავდა მათი გადასაჭრელი რეკომენდაციები და ღონისძიებები)

მიზანი 2. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსების განვითარება

ამოცანა 2.1 მატერიალური რესურსების შეფასება და განვითარება

მატერიალური რესურსების სწორი და ადეკვატური შეფასება აუცილებელი წინაპირობაა პსდ-ს ხარისხიანი ფუნქციონირებისათვის. 2022 წელს შპს „სიო“-ს დირექტორის 4 ნოემბრის N3-24 ბრძანებით შეიქმნილმა საინვენტარიზაციო ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების ინვენტარიზაცია. ჯგუფის მიერ სრულად მოხდა არსებულ კაბინეტებსა და სათავსოებში განთავსებული ძირითადი საშუალებების მატერიალური ფასეულობის აღწერა. შეიქმნა შესაბამისი აღწერილობები აქტების სახით, რომლებიც სრულ თანხვედრაშია არსებულ საბუღალტრო მონაცემებთან.

ინვენტარიზაციის შედეგების გაანალიზებით გამოიკვეთა ახალი მატერიალური რესურსის შეძენის საჭიროებები. კერძოდ: ორგანიზაციამ შეიძინა ახალი სკამმ-მერხები 45 ერთეული, ახალი ლეპტოპები - 3 ერთეული, ფერადი პრინტერი და კონდენციონერი.

ასევე განხორციელდა ცენტრაული გათბობის სისტემების შეძენა მონტაჟი. რის შემდეგაც დაწესებულების მთლიანი ტერიტორია სრულად აღიჭურვა ცენტრალიზირებული გათბობის სისტემით.

განახლება განიცადა კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა. დაემატა სახელმძღვანელოები რომლებიც ასევე ასახულ იქნა ბიბლიოთეკის კატალოგში (იხილეთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე)

ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზისას ასევე გამოიკვეთა პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმების სრულყოფის აუცილებლობა, რისთვისაც შეძენილი იქნა სპეციალური გადაუდებელი დახმარების ყუთი. რომელიც დაკომპლექტებულია ყველა საჭირო რესურსით. ყუთი განთავსდა დაწესებულების ფოიეში, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

მტკიცებულებები: განხორციელდა ახალი ინვენტარის შეძენა შესყიდვის აქტები/ფლობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია; (იხ.დანართი 6), ჩატარდა ინვენტარის შეფასება - შედეგები (იხ. დანართი 9), შპს „სიო“-ს შენობა ნაგებობა აღიჭურვა ერთიანი ცენტრალური გათბობის სისტემით - (იხ. დანართი 10), განახლდა წიგნადი ფონდი - იხილეთ ელექტრონული კატალოგი ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sio.ge/index.php/bibliotek/fondi https://www.sio.ge/index.php/98-newska/317-2023-2; პირველადი დახმარების ყუთი - (იხ. დანართი 23)

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (ჩატარდა ინვენტარიზაცია, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, განახდლა ინვენტარის 3% ზე მეტი)

ამოცანა 2.2 საინფორმაციო რესურსების განვითარება

საზოგადოებრივი კოლეჯი სიო, ისევე როგორც ნებისმიერი თანამედროვე ორგანიზაცია აქტიურად იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. კოლეჯში სრულადაა ჩართული ინტერნეტის ქსელში. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი იქნა უფრო მაღალი წარმადობის ინტერნეტის საჭიროება, შესაბამისად მოხდა ინტერნეტ სიჩქარის გაზრდა. ორგანიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში აქტიურად მოიხმარს სტაციონარულ პერსონალურ კომპიუტერებსა და ლეპტოპებს. სადაც ხდება უმთავრესი დოკუმენტების შექმნა, დამუშავება და შენახვა. პერიოდულად მიმდინარეობს კომპიუტერული რესურსების ტექნიკური და პროგრამული მონიტორინგი და წარმოებს მათი უწესივრობებისა და გაწეული სამუშაოების აღრიცხვა (იხილეთ დანართი 13). ასევე მიმდინარეობს მათი მუდმივი განახლება და გაუმჯობესება. საანგარიშო პერიოდში მოხდა 3 ახალი ლეპტოპის, ასევე ფერადი პრინტერის შეძენა, რომელიც გვეხმარება სხვადასხვა ილუსტრირებული თვალსაჩინოებებისა და ფერადი დოკუმენტების მომზადებაში.

კოლეჯი სიო აქტიურად იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - E flow, რომელსაც საქმისწარმოების წესის შესაბამისად დაემატა კიდევ ერთი მომხმარებელი, შესაბამისად შეიცვალა სერვისის მომწოდებელთან ხელშეკრულება. ასევე ორგანიზაციის ციფრული რესურსები განთავსებულია ოფიციალურ პორტალებზე - vet.emis.ge და e-vet.emis.ge -ზე. ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი Sio.ge, რომელიც განთავსებულია ქართული ორგანიზაციის (serv.ge) ს სერვერებზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას წარმოიქმნება რისკები, რომლებსაც შეუძლიათ კოლეჯის გამართულად ფუნქციონირებაში ხელის შეშლა. ძირითადი რისკები დაკავშირებულია პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფორმაციის საცავების დაზიანებასთან.

ასევე არსებობს რისკები რომლებიც მოისაზრებს კომფედენციალური ინფორმაციის, ასევე სტუდენტთა და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის გაჟონვას.

ყოველივე ამ რისკების შესამცირებლად ორგანიზაციაში ფუნქციონირებს ინფორმაციის დუბლირებისა და არქივაციის პროტოკოლები. ადმინისტრაციული კომპიუტერები აღჭურვილია თანამედროვე ანტივირუსული პროგრამებით, ასევე ხდება საჭირო ინფორმაციის ფონურ რეჟიმში ღრუბლოვან საცავებში გადატანა რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მათ დაკარგვას დაზიანების შემთხვევაში. ასევე ინფორმაციის დაცვა ხდება პაროლების და წვდომის უფლებების დანაწილების საშუალებით.

კოლეჯში შეიქმნა სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ოფიციალური ვებგვერდის დომენურ ფოსტაზე და განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილ კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტაზე. კომუნიკაციისათვის ასევე შექმნილია

დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელებში. ყოველივე ამ საშუალებებს კოლეჯი იყენებს საქმიანი მიმოწერისათვის. ასევე კურსდამთავრებულებს მათი საშუალებით (და საიტის სპეციალური განყოფილებით/სოციალური ქსელის დახურული ჯგუფით) მიეწოდებათ ინფორმაციები აქტუალური, მათთვის საინტერესო ვაკანსიებეის შესახებ.

კოლეჯს გააჩნია ოფიციალური ვებ გვერდი - sio.ge, სადაც სისტემატიურად ვახდენთ ინფორმაციების განახლებას. მასზე გამოქვეყნებულია არა მხოლოდ სავალდებულო, საჯარო ნორმატიული აქტები და პროცედურები, ასევე რეგულარულად ქვეყნდება კოლეჯის აქტივობები, სტუდენტტათვის აუცილებელი და საინტერესო სიახლეები და ა.შ. მასზე რეგულარულად ახლდება ისეთი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, რომლებიც დროთა განმავლობაში განიცდიან ცვლილებას მაგალითად: სამოქმედო გეგმები, მათი ანგარიშები, პროგრამის კატალოგები და ასე შემდეგ.

საანგარიშო პერიოდში დაინერგა ელექტრონული შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მიება გუგლ ფორმსის პლათფორმას და საშუალებას იძლევა მარტივად და გამჭვირვალეთ წარიმართოს შეფასების პროცესი.

მტკიცებულებები: საინფორმაციო რესურსების განვითარება - დანართი 11; პერიოდულად ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი, კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი); (იხ. დანართი 12; პედაგოგთა ერთიანი ელექტრონული ფოსტების ბაზა - დანართი 13; ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-Flow განახლებული ხელშეკრულება - დანართი 22. ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის განახლება და სიახლეების დადება - იხილეთ: ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდი : იხილეთ ვებგვერდი www.Sio.ge, სოციალური ქსელი - www.facebook.com/Siocollage; http://sio.ge/index.php/programeb/progkat

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (საანგარიშო პერიოდში ჩატარდა IT ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების მონიტორინგი, საჭიროებების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა, ასევე დაინერგა ელექტრონული სისტემები პერსონალთან და სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის, განახლდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-Flow ხელშეკრულება, ცვლილებები განიცადა ვებ-გვერდმა და სოციალურმა ქსელმა. ერთიანობაში გაუმჯობესდა დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდების არხები).

მიზანი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების განვითარება

ამოცანა 3.1 პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებების დაცვა

პსდ ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებების დაცვისაკენ. პსდ იცავს პროფესიულ ტუდენტთა/მსმენელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, უქმნის მათ უსაფრთხო გარემოს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად. ზრუნავს პროფესიული სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე. სწორედ ამ ამოცანების რეალიზაციის მიზნით შემუშავდა სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, მათთან თანამშრომლობა და უკუკავშირის მექანიზმები. ასევე სტუდენტთა უსაფრთხო გარემოში სწავლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი, რომელიც რეგულარულად ატარებს ინსტრუქტაჟებს დაწესებულების პერსონალთან/სტუდენტებთან/მსმენელებთან და ორგანიზაციის სხვა სტუმრებთან. უსაფრთხოების მენეჯერმა წარმატებით გაიარა შრომის უსაფრთხოების სასერთიფიკატო გამოცდა.

პროფესიულ სტუდენთა/მსენელთა უფლებების გაცნობა იწყება მათთან ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. ასევე პსდ ში შემოსვლის დღიდან მათ ეცნობათ კოლეჯში მოქმედი მარეგულირებელი წესების შესახებ, უტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი (ასევე ეცნობიან საევაკუაციო გეგმასა და საავარიო გასასვლელებს), ხდება მათთვის შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების გაცნობა. მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა სტუდენტებსა და მსმენელებს შეუძლიათ კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.Sio.ge, ასევე ახალი ნორმატიული აქტის შემუშავებისას ან არსებულში ცვლილების შემთხვევაში ხდება დოკუმენტების გაცნობის მიზნით მათი ვებ-გვერდზე განთავსება და კორპორატიულ ელ-ფოსტებზე გაგზავნა.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიხედვით ისინი აფიქსირებენ, რომ იცნობენ თვიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. დაწესებულების მიერ შეთვაზებული სერვისებით კმაყოფილების ზოგადი მაჩვენებელი 80%-ია. საანგარიშო წლის განმავლობაში სტუდენთა მხრიდან საჩივარი ან პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

კოლეჯს გააჩნია ინდ.სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციის დოკუმენტი. მიმდინარე წელს ინდ. სასწავლო გეგმის შედგენა არ გამხდარა საჭირო.

სამოქმედო გეგმის თანახმად, დაგეგმილი იყო სტუდენტთა თვითმართველობის ჩამოყალიბება. აღნიშნული პროცესი არ არის დასრულებული სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო. აღნიშნული ამოცანა გათვალისწინებული იქნა ახალ სამოქმედო გეგმაში სტუდენტთა კვოტის გაზრდის გამო.

მტკიცებულებები: სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია იხილეთ ვებ-გვერდი https://www.sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi-2/studentta-mxardachera; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა https://www.sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi-2/sagangebo; შრომის უსაფრთხოების სასერთიფიკატო გამოცდა https://www.sio.ge/index.php/98-newska/310-2023-01-14-10-15-12; შეფასების სისტემა https://www.sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi/sistema; ნორმატიული აქტები https://www.sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi-2; კოლეჯისა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები; (ინახება ადგილზე ნიმუში იხილეთ დანართი 15); .ინდ.სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; https://www.sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi/debuleba მუხლი 50; შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით; https://www.sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi/sistema;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია ნაწილობრივ (სტუდენტთა/მსმენელთა დაცვის ღონისძიებები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, კმაყოფილების მაჩვენებელი, თვითმმართველობის)

ამოცანა 3.2 პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერისა სერვისების და დამატებითი კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი) აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა სტუდენტური სერვისების საინფორმაციო კრებული. მასში გაცნობითი ხასიათით აღწერილია დაწესებულებაში მოქმედი სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები და სერვისები. განხორციელდა სტუდენტთა გამოკითხვა მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით. შპს „სიო“-ს მიერ ჩატარდა აქტიურ სტუდენტთა გამოკითხვა რათა უკეთ გააანალიზოს და შეაფასოს რამდენად კმაყოფილნი არიან სტუდენტები სასწავლებლის სსერვისებით.

კოლეჯი მიესალმება კურიკულუმის გარეშე დაგეგმილ აქტივობებს. სტუდენტთა და მასწავლებელთა ინიციატივებით ტარდება წამახალისებელი აქტივობები. კონფერენციები მათთვის საინტერესო თემებზე, საქველმოქმედო აქციები, ინტელექტუალური თამაშები და ასე შემდეგ...

სტუდენტთა მიერ წამოწყებულ აქტივობებს დაწესებულება მხარს უჭერს ფინანსური და მატერიალურ/ტექნიკური რესურსებით. ურუნველყოფს მათ წახალისებას ფასიანი საჩუქრებითა და აქტიობების განხორციელებისათვის საჭირო სახსრებით.

პსდ ხელს უწყობს სტუდენტთა/მსენელთა და მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ ფორუმებში და გამოფენებში. კოლეჯმა უზრუნველყო სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა ვიზიტი EXPO MED BATUMI 2022 რიგით მე-3 სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ღონისძიებაზე კოლეჯი მონაწილეობას იღებს 2023 წელსაც.

2023 წლის 20 აპრილს გაიმართა სტუდენტური კონფერენცია კოლეჯ"სიო"-ში სახელწოდებით- "სიყვარულის ქიმია". მომხსნებლებმა საკუთარ პრეზენტაციებში სასწავლო მოდულები დაუკავშირეს რეაულურ ცხოვრებისეულ მოვლენებს.

2023 წლის 11 აპრილს სტუდენტთა ინიციატივით განხორციელდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. მონაწილეობა მიიღო კოლეჯის სტუდენტებმა. აღსანიშნავია, რომ სახალისო აქტივობას ერთობლივი გადაწყვეტილებით სისტემური ხასიათი მიეცემა და სისტემატურად ჩატარდება. გამარჯვებულ გუნდს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

2023 წლის 7 აპრილს კოლეჯის სტუდენტებსა და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) წარმომადგენლებს შორის საქმიანი შეხვედრა. დასაქმების პროექტის კონსულტანტებმა პროექტის ფარგლებში კოლეჯის სტუდენტებისთვის კარიერული ორიენტაციის ტრენინგი გამართეს. ტრენინგი მიზნად ისახავდა მსმენელებისთვის და შემდგომში პოტენციური სამუშაოს მაძიებლებისთვის სასურველი სამსახურის მოძიების ხელშეწყობის მიზნით ეფექტური cv–ის , მოტივაციის წერილისა და გასაუბრების ტექნიკებზე პრაქტიკული რეკომენდაციების გაზიარებას.

კოლეჯი ასევე აწარმოებს კვლევებს კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. ჩვენი ინტერესეის სფეროა: რამდენად უწევენ ისინი კოლეჯს რეკომენდაციას და კმაყოფილნი

არიან მიღებული ცოდნით. ამასთან ჩატარებული კვლევის ანალიზით ვლინდება, რომ კურსდამთავრებულთა შორის საკმაოდ მაღალია დასაქმების მაჩვენებლები.

პსდ ასევე ჩართულია საქველმოქმედო საქმიანობაში, სადაც მონაწილეობას იღებს ფინანსურად ორგანიზაცია, ხოლო დაწესებულების პერსონალი და სტუდენტები ნებაყოფლობით მათი შესაძლებლობების ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში ერთობლივი ძალებით დახმარება გავუწიეთ ერთ-ერთ სტუდენტს რომელსაც ესაჭიროება თირკმელის გადანერგვა. სამედიცინო ეთიკიდან გამომდინარე, აღნიშნული აქტივობა არ გაშუქდა კოლეჯის სოციალურ და ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ასევე არ მომხდარა ფაქტების ფოტოფიქსაცია.

კოლეჯი ასევე რეგულარულად, მატერიალური ფორმით ეხმარება დიაბეტის მძიმე ფორმით დაავადებულ ყოფილ თანამშრომელს. გარდა ამისა სტუდენტებმა გამოიჩინეს ინიციატივა განეხორციელებინათ მასთან ვიზიტი და გამოეყენებინათ შესწავლილი სამედიცინო მანიპულაციები პროფესიული მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ რათა დახმარებოდნენ მარტოხელა პაციენტს.

მტკიცებულებები: სტუდენტური სერვისების ბროშურა - https://www.sio.ge/index.php/studservis; EXPO MED BATUMI 2022 - http://sio.ge/index.php/98-newska/293-2022-09-22-09-55-59; სტუდენტური კონფერენცია - https://www.sio.ge/index.php/98-newska/329-2023-04-21-10-20-23; “რა? სად? როდის? https://www.sio.ge/index.php/98-newska/327-2023-04-13-15-29-48; სამსახურის მოძიების ხელშეწყობის მიზნით გამართული ტრეინინგი - https://www.sio.ge/index.php/98-newska/326-2023-04-10-09-21-19; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა - https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/313-2023-01-18-15-56-50; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/304-2023-01-04-10-18-39 https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/334-2023-06-14-12-15-25 ; საქველმოქმედო დახმარება - იხ. დანართი 24;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (მხარდაჭერილია სტუდენტთა ინიციატივები, გაწეულია დასაქმების ხელშემწყობი აქტივობები, განხორციელებულია კურუკულუმის გარეშე აქტივობები)

მიზანი 4. ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანა 4.1 პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა;

პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების გამოკლვევისათვის საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა განახორციელა პერსონალის თვითშეფასების, პერსონალის შრომითი ჩართულობისა და კმაყოფილების, ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის და პერსონალის საჭიროების კვლევები.

თანამშრომლების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია ორიენტირებულია პროგრესზე და მათ ეძლევათ საშუალება განვითარდნენ კარიერული კუთხით. თანამშრომლებს შორის არის კოლეგიალური დამოკიდებულება, ისინი იზიარებენ და ეხმარებიან ერთმანეთს ცალკეული დავალებების შესრულებისას. პერსონალი გრძნობს თანადგომას როგორც კოლეგებიდან ასევე ხელმძღვანელობისაგან.

პერსონალის საჭიროების კვლევის ფარგლებში შპს „სიო“-ში ჩატარდა პერსონალის გამოკითხვა. მიღებული შედეგების ანალიზისას გაირკვა თანამშრომელთა მუშაობის ხანგრძლიობა, თანამშრომლები აცხადებენ რომ უკანასკნელ პერიოდში ხშირად მიუღიათ მონაწილეობა ტრეინინგებში და ვორკშოპებში. ხოლო მიღებულ გამოცდილებას წარმატებით იყენებენ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

გამოკითხვის მნიშვნელოვანი მიგნებაა იმ საჭიროებების ჩამონათვალი რომელთაც თავად დასაქმებულები თვლიან რომ ესაჭიროებათ. ასეთებია:

- სასწავლო ინვენტარის - კომპიუტერებისა და პროექტორის შეძენა;
- საგნამანათლებლო რესურსებზე ზრუვნა და წიგნადი ფონდის თანამედროვე ლიტერატურით განახლება;
- მონაწილეობის მიღება უფრო მეტ ტრეინინგ/სემინარებში;

კვლევამ ასევე აჩვენა ის მხარეები, სადაც ორგანიზაციამ უნდა გააუმჯობესოს მდგომარეობა. ცალკეული თანამშრომლები თვლიან რომ ზოგიერთი სამუშაო პროცესი საჭიროებს გამარტივებას. დაკისრებული მოვალეობები ხანდახან აღემატება თანამშრომლის შესაძლებლობებს და სასურველია უფრო მეტი კომუნიკაცია ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს შორის.

მტკიცებულებები: გამოკითხვის შედეგები;

https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/316-2023-01-20-14-55-37

https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/315-2023-01-20-13-32-19

https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/312-2023-01-16-12-06-59 ;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (კვლევებში მონაწილეობა მიიღო თანამშრომელთა 95%-მა, გამოიკვეთა საჭიროებები)

ამოცანა 4.2 პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება;

მიღებული შედეგების გაანალიზებით კოლეჯში გააქტიურდა თანამშრომების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგ/სემინარები. გარდა ერთობლივი ტრეინინგებისა, მოხდა ცალკეული თანამშრომლების ინდივიდუალური (სამუშაოს დარგის შესაბამისად) გადამზადება სხვადასხვა ტრეინინგების/კურსების შესაბამისად (ბუღალტერი თეონა ჯიმშელეიშვილი გაიგზავნა ქალაქ ბათუმში 2023 წლის 28 აპრლის გამართულ **ISO 90001** - ტრენინგზე, შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის მენეჯერი გაიგზავნა ქალაქ თბილისში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის **სერთიფიკატის გამოცდაზ**ე). მოხდა წიგნადი ფონდის, მატერიალურ/ტექნიკური ბაზის განახლება. გადაიხედა რიგი ნორმატიული აქტები რათა ორგანიზაციაში მოქმედი პროცედურები უფრო მეტად გამჭირვალე და მარტივი გახდეს. შემუშავდა და დამტკიცდა დირექტორის 2023 წლის 10 მარტის ბრძანებით პერსონალის განვითარების გეგმა.

მტკიცებულებები: პერსონალის განვითარების გეგმა იხილეთ დანართი 16; პსდ - მიერ დაფინანსებული ბუღალტრის ტრენინგები - იხ. დანართი 19; დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი - https://www.sio.ge/index.php/98-newska/310-2023-01-14-10-15-12; განხორციელებული აქტივობების ანგარიშები/დამადასტურებელი https://www.sio.ge/index.php/98-newska/321-2023-02-23-06-34-56; https://www.sio.ge/index.php/98-newska/299-2022-11-29-16-07-08;

https://www.sio.ge/index.php/98-newska/301-2022-12-06-06-09-47;

https://www.sio.ge/index.php/98-newska/295-2022-10-24-12-45-17;

https://www.sio.ge/index.php/98-newska/292-8-zoom; https://www.sio.ge/index.php/98-newska/321-2023-02-23-06-34-56;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (დაიგეგმა და განხორციელდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები როგორც კოლეჯის ბაზაზე ასევე კოლეჯს გარეთ,)

ამოცანა 4.3 ადამიანური რესურსების სამუშაოზე მიღების, განვითარების, სტიმულირების სისტემის განვითარება;

ჩატარებული კვლევებისა და საჭიროებების გამოვლენის შესაბამისად პსდ-ში შემუშავებულ იქნა პერსონალის მართვის წესი. იგი წარმოადგენს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს, რათა დასაქმებულმა პირებმა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები. პერიოდულად უნდა მოხდეს დოკუმენტის გადახედვა/შეფასება და ამ შეფასებებზე აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებებისა ან/და კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, განხორციელდეს მასში ცვლილებები.

თანამშრომელთა წახალისების მიზნით კოლეჯში ხორციელდება და ყოველთვის ხორციელდებოდა რიგი აქტივობები. ჯერ კიდევ კოვიდ პანდემიის პერიოდში შპს „სიო“-მ თანამშრომელთა წახალისების მიზნით სახელმწიფოს მიერ მიღებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით სრულად დაურიცხა ორგანიზაციაში დასაქმებულთ. კოლეჯი მიმართულია თანამშრომელთა კმაყოფილებისაკე. შეიძლება ითქვას, რომ წამახალისებელი აქტივობების ნაწილი უკვე ტრადიციათაა ქცეული. დირექტორის 2023 წლის 27 იანვრის N1-06 ბრძანებით, რეავტორიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის გამო თანამშრომლებს გამოეწერათ ფულადი პრემია. ასევე აღდგომისა და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, კოლეჯი ტრადიციულად ატარებს თანამშრომელთა წასახალისებელ ღონისძიებებს - იქნება ეს ფულადი სახის თუ სხვა მატერიალური დახმარება.

გარდა ამისა კოლეჯი ახორციელებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა ფასიანი ტრენინგები, ასევე კოლეჯი წევს სხვადასხვა ფორუმებზე თუ თემატურ შეხვედრებზე სამივლინებო ხარჯებს როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ.

მტკიცებულებები: ჩატარების მტკიცებულებები http://sio.ge/index.php/98-newska/292-8-zoom (იხილეთ დანართი 20); პერსონალის კმაყოფილების კვლევა https://www.sio.ge/index.php/kitxvari/angarishebi/316-2023-01-20-14-55-37; პერსონალის მართვის წესი http://sio.ge/index.php/aboutusk/aqtebi-2/personali ; დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სტიმულირების მექანიზმების გამოყენების შესახებ - (იხილეთ დანართი 17);

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (ჩატარებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები, წახალისებულია მინიმუმ 3 თანამშრომელი)

მიზანი 5. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასება

ამოცანა 5.1 ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების განხორციელება;

2023 წლის რეავტორიზაციის პროცესისათვის, ორგანიზაციის ხარისხის სამსახურის მიერ, კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ერთად მოხდა თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავება.

თვითშეფასების დოკუმენტმენტში მოცემულია

- დაწესებულების აღწერა;
- წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ;
- ინფორმაცია ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ავტორიზაციის სტანდარტებთა შესაბამისობა;

მტკიცებულებები: თვითშეფასების კითხვარი - იხილეთ დანართი 18;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (შემუშავებულია თვითშეფასების კითხვარი)

ამოცანა 5.2 ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების განხორციელება;

2023 წლის რეავტორიზაციისათვის, მოხდა თვითშეფასების კითხვარის წარდგენა. რის საფუძველზედაც კოლეჯში განხორციელდა რეავტორიზაციის პროცესი. რომლის დროსაც დეტალურად იქნა განხილული თვითშეფასების კითხვარის იდენტობა კოლეჯის საქმიანობის და აქტივობების შესაბამისობასთან. ვიზიტის შედეგად მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა გაუმჯობესების გეგმა, რომლის საფუძველზეც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 18/04/2023 (MES 6 23 0000425898) გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „სიო“-ს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.

მტკიცებულებები: გაუმჯობესების გეგმა - იხილეთ დანართი 1;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (დამტკიცებულია გაუმჯობესების გეგმა)

მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

ამოცანა 6.1 ადგილობრივი თანამშრომლობის გაფართოება;

ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა წარმოადგენს პსდ - ს ძლიერ დასაყრდენს. თანამშრომლობის გაღრმავების მიძნით, საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები ბათუმის Imperial-ის კლინიკის წარმომადგენლობასთან. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ერთობლივი პრაქტიკების განხორციელებას. ასევე პროფესიული მასწავლებლების გადამზადების პროგრამის შემუშავებას. თანამშრომლობის ფარგლებში 2023 წლის 10 მართს, კოლეჯ „სიო"-ში გაიმართა შეხვედრა. დავისახეთ ერთობლივი მიზნები და ამოცანები. შეხვედრა გაშუქდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.

მტკიცებულებები: თანამშრომლობის შეხვედრა http://sio.ge/index.php/98-newska/323-2023-03-11-14-56-09;

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (მოიძებნა ახალი პარტნიორი, დაიგეგმა ერთობლივი აქტივობები და მიმდინარეობს თანამშრომლობის გაღრმავების პროცესი)

ამოცანა 6.2 პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელება;

განხორციელებული კვლევებითა და გამოვლენილი საჭიროების მიხედვით გამოიკვეთა პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა. სწორედ ამიტომ კოლეჯი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სახის პროფესიული განათლების ხელშემწყობ ფორუმებსა და სიმპოზიუმებში.

პსდ-მ მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 17 ივნისს, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით გამართულ დასაქმების ფორუმში. ფორუმზე მოხდა შეხვედრა დაინტერესებულ პირებთან, გავაცანით კოლეჯში მიმდინარე პროცესები და სტუდენტებმა (ლექტორ/მასწავლებლების მეთვალყურეობით) მოახდინენ სამედიცინო

მანიპულაციების დემონსტრირება.

შპს „სიო“-მ, 2023 წლის 27 აპრილს მონაწილეობა მიიღო პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის ღონისძიებაში, სახელწოდებით „ისწავლე დასაქმებისთვის“. ჩვენი კოლეჯისთვის გამოყოფილ სტენდზე კოლეჯის სტუდენტებმა წარმოადგინეს სხვადასხვა სახის სამედიცინო თვალსაჩინოებები, მულაჟები, პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები, სხვადასხვა ტიპის სამედიცინო ხელსაწყოები და ა.შ. სტუდენტებმა და პროფესიულმა მასწავლებლებმა დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და მათთან დაკავშირებულ თემებზე.

კოლეჯის, როგორც პროფესიული სასწავლებლის ცნობადობის ასამაღლებლად, შემუშავდა ფლაერებისა და სავიზიტო ბარათების დიზაინი. მოხდა მათი პოლიგრაფიული წესით დაბეჭდვა და მსგავსი სახის ღონისძიებებზე დაინტერესებულ პირთათვის გადაცემა.

გარდა მატერიალური ფორმის სარეკლამო ღონისძიებებისა, კოლეჯი პერმანენტულად ახორციელებს ოფიციალური ვებ-გვერდის Sio.ge და ასევე Facebook გვერდის მეშვეობით სარეკლამო პუბლიკაციების გავრცელებას დაინტერესებულ აუდიტორიაში.

ყოველივე ამ ღონისძიებების შედეგია პროგრამაზე რეგისტრანტების რაოდენობის ზედა. 2022 წლის მიღებისას გამოცხადებულ 38 ვაკანტურ ადგილზე რეგისტრირებული იყო 120 აპლიკანტი.

მტკიცებულებები: პროფესიული ორიენტაციის განვითარების ღონისძიებები, სარეკლამო ფლაერები და სავიზიტო ბარათები http://sio.ge/index.php/98-newska/330-2023-04-28-12-27-36; http://sio.ge/index.php/98-newska/284-2022-222; იხილეთ ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი https://www.facebook.com/Siocollage/

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (მონაწილეობა მივიღეთ პროფორიენტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში, განხორციელდა სარეკლამო ღონისძიებები, ჩატარებული აქტივობები გაშუქდა ოფიციალური ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში, გაიზარდა რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა)

ამოცანა 6.3 საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, შპს „სიო“ რეგულარულად ახორციელებს სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრთა ვიზიტს გერმანიაში, ქალაქ ბერლინში პალიატიურ კლინიკაში. სადაც ისინი ეცნობიან ავადმყოფის მოვლის მეთოდებს სპეციალიზირებულ საავადმყოფოში.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული კუთხით ვიზიტი განახორციელეს სასწავლო პროცესის მენეჯერმა - ლარისა გიორხელიძემ, პროფესიულმა სტუდენტებმა - სერგო წიქორიძემ და ზიტა ჭოლაძემ. სადაც ისინი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის - სალომე სიორდიას ხელმძღვანელობით გაეცვნენ ავადმყოფის მოვლის გერმანულ მეთოდებსა და თავისებურებებს სტაციონარის პირობებში.

კოლეჯში დაბრუნების შემდგომ, მივლინებულმა პერსონალმა და სტუდენტებმა გამართეს გამოცდილების გაზიარების მიზნით ლექცია/პრეზენტაცია. სასწავლო პროცესის მენეჯერმა სტუდენტებს წარუდგინა ის განსხვავებული თავისებურებები და მეთოდები რომლებსაც გამოიყენებენ ევროპულ დაწესებულებებში. ლექცია წარიმართა ინტერაქტიულ ჭრილში. მომხსენებლებმა ამომწურავად უპასუხეს სტუდენტთა დასმულ შეკითხვებს.

მტკიცებულებები: სტუდენტებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ვიზიტი გერმანიაში, ქალაქ ბერლინში (იხილეთ დანართი 21)

შესრულების ინდიკატორები - შესრულებულია (განხორციელდა სტუდენტთა და პერსონალის ვიზიტი გერმანიის კლინიკაში, კოლეჯში ჩატარდა გამოცდილების გაზიარების ლექცია/პრეზენტაცია)

დოკუმენტი მომზადებულია სამუშაო ჯგუფის მიერ

2023 წლის 29 მაისის მდგომარეობით